



საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო



BATUMI STATE MARITIME ACADEMY

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



გემის ელექტრომექანიკა

პროგრამის მოკლე აღმწერი

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: №220, 28.11.2019



European Commission
TEMPUS



iamu



The
Nautical
Institute



INTERNATIONAL
MARITIME
ORGANIZATION





სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის დასახელება	გემის ელექტრომექანიკა
კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი	ინჟინერის ბაკალავრი საზღვაო ელექტროინჟინერიაში
პროგრამის ხელმძღვანელები	მიხეილ ლეუავე , პროფესორი ml.leuava@bsma.edu.ge
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, რუსთაველის ქ.№53 ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge
სწავლების ფორმა	დღის სწავლება -4 სასწავლო წელი (8 აკადემიური სემესტრი)
პროგრამის მოცულობა	240 ECTS
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა	ქართული ენა
სწავლების ფორმატი	ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული სამუშაოები





**პროგრამის
მიზანი**

მომზადდოს ნაციონალური (დარგობრივი მახასიათებელი („საზღვაო ელექტროინჟინერია“) და საერთაშორისო სტანდარტის STCW კონვენციის (A-III/6) მოთხოვნების შესაბამისი ექსპლუატაციის გემის ელექტროინჟინერი, რომელიც გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟისა და სათანადო მომზადების საფუძველზე შეძლებს ეტაპობრივად მოიპოვოს საოკეანო-სავაჭრო გემის ელექტროტექნიკოსის ოფიცრის თანამდებობა, აგრეთვე შესაძლებელია დასაქმდეს საზღვაო ტრანსპორტის ან დარგის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებებში. მოამზადდოს პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებული სპეციალისტი, რომელიც შეძლებს გემის ელექტრომომწყობილობების, ელექტრონული აპარატურის, ამმრავი მექანიზმების, დამხმარე მოწყობილობების ავტომატიზებული მართვის სისტემების, გენერატორების, მანაწილეებელი სისტემების, კომპიუტერებისა და კომპიუტერული ქსელების მომსახურებას და შეკეთებას.



**პროგრამის
შედეგები**

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულს შეიძინოს თეორიული ცოდნა, გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელთა საფუძველზეც მათ მოუხდებათ თანამედროვე გარემოში პროფესიონალებად დამკვიდრება.

დარგობრივი კომპეტენციების საფუძველზე შეძლებს სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაწყვეტის ადექვატური გზების შერჩევას.

ფლობს ინგლისურ ენას იმ მოცულობით, რაც აუცილებელია გემის ელექტრომექანიკოსის ფუნქციური მოვალეობების შესასრულებლად (საქმიანი მიმოწერა, საუბრის წარმოება რადიოტელეფონით, საძიებო, და გადარჩენის ოპერაციებისას კონტაქტის დამყარება) და კომუნიკაციის დასამყარებლად გემის ბულტინაციონალურ ეკიპაჟთან.

მეზღვაურის პროფესიული საქმიანობის თავისებურების განმსაზღვრელია პროფესიის მაღალი რისკ-ფაქტორი. გემი მეზღვაურისათვის წარმოადგენს ერთდროულად სამუშაო და საცხოვრებელ გარემოს. გამომდინარე აქედან ერთიანი გუნდის შეგრძნება, თვითდისციპლინა, კომუნიკაბელობა, პუნქტუალობა, პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობა ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებიც განსაზღვრავენ გემის, ეკიპაჟისა და ტვირთის უსაფრთხოებას.





**პროგრამის
სტრუქტურა**

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი 240 ECTS კრედიტი. ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა საშუალება სტანდარტულად აითვისოს 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში).

პროგრამა შედგება სავალდებულო ძირითადი დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი და არჩევითი ან/და თავისუფალი სასწავლო კომპონენტებისაგან.

ყოველი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 კვირას, საიდანაც 15 კვირა ეთმობა მეცედიწიწობების ჩატარებას, ხოლო 4 კვირა – სტუდენტთა ცოდნის შეფასებას. გამოწაკლისს წარმოადგენს VI (სასწავლო საცუწაო პრაქტიკის) სემესტრი, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 24 კვირას (19+5 კვირა), აწუ 6 თვეს.

პრაქტიკის სემესტრის გახანგრძლივება განპირობებულია მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიკირების შესახებ კანონისა და STCW კონვენციაში მეზღვაურთა მომზადებისა და სერტიფიკირების პროცესში შესაბამისი საცუწაო სტაჟის მინიმალური ხანგრძლივობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სასწავლო საცუწაო პრაქტიკისა და სტუდენტის საოკეანო სავაჭრო გემებზე პრაქტიკის ხანგრძლივობამ მთლიანობაში უნდა შეადგინოს არანაკლებ 12 თვე. სასწავლო საცუწაო პრაქტიკას სტუდენტები გადიან გემზე და აკადემიის სამანქანო, სატაკელაჟო, საზეინკლო, სახარატო, ელექტრო და აირშედულების და ელექტროსამონტაჟო სასწავლო სახელოსწობებში.

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისა და გემზე საზღვაო-საწარმოო პრაქტიკის გავლის შედეგად კურსდამთავრებული ეტაპობრივად მოიპოვებს გემზე სამუშაო ლიცენზიისათვის აუცილებელ საცუწაო სტაჟს, რაც აუცილებელია ოფიცერ ელექტროტექნიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად. ასევე შესაძლებელია დასაქმდეს :

- საზღვაო ტრანსპორტთან დაკავშირებულ კერძო კრუინგულ, სტივიდორულ, კონსალტინგურ და სხვა კომპანიებში;
- ფირმებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ელექტრომონიწყობილობების ექსპლუატაციასა და მომსახურებასთან;
- სახელმწიფო სამსახურებში, რომლებიც დაკავშირებულია საზღვაო ტრანსპორტის რეგულირებასა და კონტროლთან.

**დასაქმების
სფერო**



**ადამიანური
რესურსი**

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს არჩეული აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები:

პროფესორი- 5

ასოცირებული პროფესორი- 18

ასისტენტი-3

ასისტენტ-პროფესორი-1

მოწვეული მასწავლებელი - 30

**მატერიალური
რესურსი**

საზღვაო აკადემიაში ფუნქციონირებს სასწავლო ლაბორატორიები, რომლებიც უახლესი თანამედროვე კომპიუტერული გამზომი ინსტრუმენტებითა და ლაბორატორული დანადგარებითაა აღჭურვილი.

სტუდენტთა სწავლებისა და მომზადების პროცესში გამოიყენება:

- ფიზიკისა, ქიმიის, ელექტროტექნიკის, ელექტრონიკის, ავტომატიკის, ჰიდრავლიკისა და პნევმატიკის სასწავლო ლაბორატორიები;
- დიზელის რეალური ძრავებით აღჭურვილი სამანქანო დარბაზი;
- საზეინკლო, სახარატო და საშემდუღებლო ლაბორატორია;
- სამაშველო კანჯოს წყალზე დაშვების ტრენაჟერი;
- სატაკელაჟო საქმის ლაბორატორია.

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტურობის მისაღწევად საზღვაო აკადემია გამოიყენებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებს, პროექტორებს და სადემონსტრაციო მონიტორებს.

**შეფასების
სისტემა**

- ✓ სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების საფუძველზე.
- ✓ სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო კომპონენტში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

ცოდნის შემოწმების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში.



I	1.Pre Intermediate ინგლისური MF1 -5 ECTS ან 2. Intermediate+ ინგლისური MF1 -5 ECTS	ფიზიკური მომზადება I 2 ECTS	მათემატიკა MF I 5 ECTS	ზოგადი ფიზიკა MF I 5 ECTS	ინფორმაციული ტექნოლოგიები საზღვაო საქმეში MF 4 ECTS		ინდუსტრიული ქიმია MF 4 ECTS	მხაზველობითი კომპიუტერული გრაფიკა 5 ECTS
II	1.Pre Intermediate ინგლისური MF2 5 ECTS ან 2.Intermediate+ ინგლისური MF2 5 ECTS	ფიზიკური მომზადება II 2 ECTS	მათემატიკა MF II 5 ECTS	ზოგადი ფიზიკა MF II 5 ECTS	ელექტროტექნიკური მასალები 5 ECTS	ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები I 6 ECTS	არჩევითი კომპონენტი 3 ECTS	
III	საზღვაო ინგლისური ენა EE 1.1 5 ECTS	გემის ენერგეტიკული დანადგარები 5 ECTS	გემის კონსტრუქციები და მდგრადობა ME/EE 5 ECTS	გემის ელექტრონიკა 5 ECTS	ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები II 6 ECTS		ტექნიკური მექანიკა 5 ECTS	
IV	საზღვაო ინგლისური ენა EE 1.2 5 ECTS	გემის დამხმარე მექანიზმები 5 ECTS	სააწვავლო ტექნოლოგიური პრაქტიკა 5 ECTS	გემის ავტომატიკის ელემენტები 5 ECTS	ძალური გარდამქნელი 5 ECTS		ელექტრული მანქანები 5 ECTS	
V	საზღვაო ინგლისური ენა EE 2 5 ECTS	საზღვაო უსაფრთხოების წესები 5 ECTS	გემის საზომი ხელსაწყოები და მონიტორინგის სისტემები 5 ECTS	პნევმო და ჰიდრო ავტომატიკის საფუძვლები ME/EE 5 ECTS	ავტომატური მართვის სისტემები 5 ECTS		ელექტრომრავის თეორია 5 ECTS	
VI	სასწავლო საცურაო პრაქტიკა EE 30 ECTS							
VII	გემის ელექტროენერგეტიკული სისტემები I 5 ECTS	გემის ენერგეტიკული დანადგარების ავტომატიზაცია 5 ECTS	გემის საყოფაცხოვრებო მოწყობილობები 5 ECTS	საგემბანე და სატვირთო მოწყობილობების მართვის სისტემები 5 ECTS	გემის სანავიგაციო და საკომუნიკაციო სისტემები 5 ECTS		მაღალი ძაბვის სისტემები 5 ECTS	
VIII	გემის ელექტროენერგეტიკული სისტემები II 5 ECTS	საერთაშორისო საზღვაო სამართალი 5 ECTS	პროფესიული ცოდნა და კომპეტენციები EE 5 ECTS	გემის კომპიუტერული ქსელების ექსპლუატაცია 5 ECTS	ლიდერობა და ეთიკა MF 5 ECTS		თავისუფალი კომპონენტი 5 ECTS	



BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ღირსება, ცოდნა, გამოცდილება!